ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 257 დეკემბერი 2, შაბათი 1889 დეკემბერი 2, შაბათი № 257

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 7 | 65 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარაიცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიასა თავად-აზნაურთ ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

## ქართული თეატრი

სამშაბათს, 5 დეკემბერს, ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

**არსენა**

დრამა 3 მოქმედ. ა. ყაზბეგისა

II

პირველი მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდამ:

**რაც გინახავს, ველარ ნახავ**

მოთამაშენი: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვისა, ავალოვისა; ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გუნია, გედევანოვი, ცაგარელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

---

კვირას, 3 დეკემბერს.

«ტფილისის სობრანიის» დარბაზში ქართული ხოროს ამხანაგობა, ბ-ნ ი. ი. რატილის ლოტბარობით, გამართავს

**კონცერტს**

სამის განყოფილებით.

მონაწილეობას მიიღებენ: ქალი ე. ი. რატილისა, ქ-ნი ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა, ბ-ნი ი. ივ. რატილი და ხორო. ხოროს აქვს დამზადებული 15 სულ ახალი ქართული და ევროპიული ხმა. ი. ივ. რატილი იმღერებს: „ორთავ თვალის სინათლევ“, ქ. ე. ი. რატილისა: „თვალის ჩინო, გულისა“.

ბილეთების ყიდვა შეიძლება «სობრანიის» შვეიცართან.

---

ტფილისი, 1 დეკემბერი

თითქმის თთვეზე მეტია, რაც ტფილისში მოღვაწეობს მალოროსების დრამატიული დასი ბ-ნ სტარიცკისა და თავის მშვენიერ წარმოდგენებით დაიმსახურა სრული თანაგრძნობა და სიყვარული არამც თუ მარტო აქაურის რუსებისა, არამედ ქართველებისაც. ეს თანაგრძნობა ცხადადა სჩანს იმითიც, რომ ყოველი წარმოდგენა მალოროსებისა, კრუჟოკში იმართება, თუ საზაფხულო თეატრში, სავსეა ხოლმე მაყურებლით, ასე რომ ზოგჯერ ადგილის უქონლობის გამო გასავალშიაც სკამებია ჩარჩორული. ამისათვის უმნიშვნელოდ არა ვთვლით ჩვენს ქართველ მკითხველს საზოგადოებას ორიოდე სიტყვით ვუამბოთ ამ დასის აღორძინების გარემოება, მისი ბედი და უბედობა და მისი ზნეობრივი ძალა.

სულ ათ-თხუთმეტ წელიწადზე მეტი არ იქნება, რაც მალოროსების დასმა დაიწყო თავისი წარმოდგენები. აქაურ დასის მოთავე ბ-ნ სტარიცკი, განთქმული მთელს რუსეთში კრაპივნიცკი, არტისტები: სადოვსკი, განსვენებული ბოროსოგლებსკი და ფრიად ნიჭიერი არტისტი-ქალი ზანკოვეცკაია უნდა ჩაითვალნენ ამ საქმის პიონერებად. პირველად ამათ შეადგინეს ამხანაგობა, რის ვაი-ვაგლახით შეჰკრიფეს რამდენიმე პიესა და დიდის გაჭირების შემდეგ გამართეს წარმოდგენა. მათის მოღვაწეობის ასპარეზად იყო სამი უმთავრესი ქალაქი მალოროსიისა: ხარკოვი, პოლტავა და კიევი. რიგიანის პიესების უქონლობა და საზოგადოდ რეპერტუარის უვარგისობა დიდად უშლიდა ხელს ნორჩ დასს, მაგრამ ეს ნაკლი მალე აიშორა თავიდგან. ბ-ნმა კრაპივნიცკიმ, ნიჭიერმა და მალოროსების საყვარელმა არტისტმა და სტარიცკიმ დასწერეს ათიოდე რიგიანი პიესა მალოროსების ცხოვრებიდამ, დიდის მოხერხებით შეუთხზეს რამდენიმე ოპერეტა სიმღერებით, ორიოდ-სამიოდე მელოდრამა და როგორც იყო გააჩინეს რეპერტუარი. ორიოდე პიესა შეაწია გამოჩენილმა მალოროსების მწერალმაც ბ-ნმა კვიტკა-ოსნოვიანენკომ. აი ეს იყო და არის მთელი ავლა-დიდება მალოროსების რეპერტუარისა. დღევანდლამდე ამ პიესებს თამაშობენ განუწყვეტლივ.

პირველ ხანებში დასს იმდენი დამაბრკოლებელი მიზეზი აღმოუჩნდა, რომ საქმე კინაღამ არ ჩაიშალა სამუდამოდ. საქმის დიდმა სიყვარულმა და ხასიათის სიმტკიცემ პირველ მოღვაწეთამ დაიხსნა ეს მშვენიერი საქმე დაღუპვისაგან. ადგილობრივს პოლიციას არაფრად ეპიტნავებოდა მალოროსების წარმოდგენები, ათას გვარს მიზეზს უდებდა, რომ კანონიერის საბუთის ძალით წარმოდგენების ნება არ მიეცა. ზოგჯერ ეტყოდნენ, რომ ამა-და-ამ პიესაში ველიკოროსი დაცინვით არის მოხსენებულიო, სამასხარო სახელი წოდება აქვს დარქმეულიო — „მოსკალი“. უფრო მომეტებულად-კი არაფერს მიზეზს არ ასახელებდნენ და ისე უკრძალავდნენ პიესას. ერთის სიტყვით, ძალიან ხშირად ბედი და უბედობა მალოროსების პიესისა დამოკიდებული იყო რომელისამე პოლიცმეისტერის ქეიფზედ.

გულ-გრილად დახვდა ნორჩს დასს აგრეთვე განათლებული საზოგადოება, ეგრეთ-წოდებული ინტელიგენცია და არისტოკრატია. მათ პირველად ვერ შეიგნეს მნიშვნელობა დასის თავ-განწირულის მოღვაწეობისა და დაცინვას, კილვას არ აკლებდნენ: ქოხმახების, შეზარხოშებულ „ხახოლების“ თამაშის (казачекъ) და სოფლის გოგო-ბიჭების ცქერა თეატრში მდაბიო ხალხის წესიაო, რომელსაც აგრე რიგად არა აქვს განვითარებული ესტეტიური გრძნობაო.

სულ სხვა თვალით უცქეროდა მალოროსების წარმოდგენებს მოსწავლე ახალგაზდობა, სტუდენტობა კიევისა და ხარკოვისა. სტუდენტობა, გატაცებული და აღფრთოვანებული სამშობლო ხმებით, მშობლიურის ბუნების გამოხატულობით, დიდის თანაგრძნობით მიეგება არისტოკრატებისა და ინტელიგენციისაგან მასხარად აგდებულ არტისტებს. ისინი კარგად მიხვდნენ, თუ რა დიდი ზნეობრივი ძალა ემხნებოდა სამშობლო თეატრს ეროვნულ გრძნობის გასაღვიძებლად და არაფერს ჰზოგავდნენ, რომ ცხადად და საჯაროდ გამოეცხადებინათ არტისტებისათვის თავისი სიყვარული და თანაგრძნობა. რამდენჯერმე სტუდენტობამ კიევში თავი ველარ შეიკავა და გადაცვივდნენ პარტერიდგან სცენაზე, დასტაცეს ხელი ბ-ნ კრაპივნიცკის, ასწიეს მაღლა ხელით და შესძახოდნენ: „дорогой батько, нашъ дорогой!“ ასე რომ პოლიცია, უწესოების მოსასპობად იძულებული შეიქმნა აეკრძალა მალოროსებისთვის წარმოდგენები. უმაღლესმა მთავრობამაც მიაქცია ყურადღება და რამდენისამე ხნით აუკრძალა არტისტებს ქალაქებში ცხოვრება. უმთავრესი არტისტები მიითანტ-მოითანტნენ სოფლებში, მაგრამ იმედს არა ჰკარგავდნენ, რომ ოდესმე იმათაც ბედი გაუღიმებდა. მართლაც ასე მოხდა. ამ ორის წლის წინად ბ-ნმა კროპივნიცკიმ გაჰბედა და წავიდა თავის დასით სატახტო ქალაქს პეტერბურგში. აქ მალე დასმა სახელი გაითქვა, ხალხი მიაწყდა იმათ წარმოდგენებს და დიდი ფულიც იშოვნა კონონოვის თეატრის მოიჯარადრემ. თვით ხელმწიფე იმპერატორმაც კეთილ ინება მალოროსების წარმოდგენების ხილვა და დიდად ისიამოვნა ნიჭიერის არტისტების ნახვით და იმათის მშვენიერის სიმღერებით. რასაკვირველია, ამის შემდეგ სხვა-და-სხვა ქალაქების პოლიცმეისტრები ვეღარ ჰბედავდნენ შეეხუთათ არტისტების თავისუფლება.

მალოროსების წარმოდგენამ მთლად მოხიბლა პეტერბურგის საზოგადოება. ეს საზოგადოება დიდის სიამოვნებით დიდიოდა იმათ წარმოდგენებზე.

უეჭველია ჩვენის გაზეთის მკითხველს ეხსომება მორდოვცევის რეცენზიები გაზეთ „Новости“-ში, იმისი სიხარული და უზომო სიამოვნება მალოროსების წარმოდგენების გამო. კრაპივნიცკის და ზანკოვეცკის ქალს გამოჩენილ ევროპის არტისტებს ადრიდა. არც გა-

---

# ფელეტონი

## შავი-ქვა

II

ლვიძევი, რგანი, წირქვალი და იმათი მიდამო ძველადგანვე ნაძრახია. უზარმაზარი, გამოქვაბული კლდეები, ოღრო-ჩოღროიანი მთები და მიშავებული ღელეები სწორეთ ზარსა სცემენ ამაოდ-მორწმუნეს! „თუ-კი მართლა სადმე დედამიწის ზურგზე ქაჯების საბუდარი, ბეჯითად აქ უნდა იყოსო“, ჰფიქრობდნენ და ღამე ქვასროლიას შიშით კარში ვერ გამოდიოდნენ იქაურები. მაგრამ უფრო ნამდვილი მიზეზი-კი ამ ცრუ-მორწმუნეობისა ის უნდა ყოფილიყო, რომ ამ ადგილებს ნიადაგი შავი-ქვისა აქვთ და შავი-ქვაც ხომ უწმინდურ რამედ და ჯოჯოხეთის ნიშნად იყო მიღებული საზოგადოდ. ამ თხუთმეტის წლის წინად, სხვაგან მიმავალს, თან მიმყვებოდა ერთი ლვიძელი ახალგაზდა. მისი შემხედვარე, იტყოდა თუ ბუნებას საკუთრად ამისთვის მოუცლიაო: თვალადი, ტანადი და ჯანმთელი მასის მიმზიდველის სახის გამომეტყველებით სწორედ რომ სასიამოვნო სანახავი იყო. მივჩერებოდი და თანაც ის მაკვირვებდა, რომ ამ გვარად ბუნება-მდიდარი კაცი თითქოს უკმაყოფილო იყო ბედზედ და წამდაუწუმ ოხრავდა. აქ რაღაც სიყვარულის ანბავი უნდა იყოს-თქო, ვიფიქრე და დავუწყე გამოკითხვა. ახალგაზდამ ასე დაიწყო ნაღვლიანად:

— აი, თვალი-კი დაუდგეს სიყვარულს და რა ვუთხრა მის მომგონს!.. ვიყავ ჩემთვის ბედნიერი! ცა ქუდად არა მყოფნიდა და დედამიწა ქალამნად, და ახლა, ახლა-კი, სიცოცხლე გამწარებულს, თავი სასიკვდილოდა მაქვს გადადებული. გალმა მხარში გოგო შემიყვარდა. ურთმანეთოდ ვეღარ ვათენ-ვაღამებთ, მაგრამ...

— მაგრამ რაო? ვკითხე გაოცებით.

— ქალის დედ-მამა უარზე სდგას.

— გწუნობენ?

— მე არა, მაგრამ ჩემ სოფელს-კი!.. „საქაჯეთოდ არ გამოგვიზდია ჩვენი ქალიო! შავი-ქვის პატრონს ვერ მივათხოვებთო!“ ერთის მხრით სიყვარული მღაგავს და მეორეს მხრით რჯულზედაც ვეღარ ამიღია ხელი.

— როგორ, სხვა რჯულის არიან და შენის რჯულის გამოცვლასა გთხოვენ?

— არა, შენი ჭირიმე!.. სხვა რჯულის რად იქნებიან, მაგრამ მეუბნებიან: „მაგ სოფლიდგან აიყარე, სხვაგან სადმე გადასახლდე და მაშინ მოგცემთ ქალსაო!“ და ეს ხომ იგივე რჯულზე ხელის აღება იქნება?!. სადაც ჩემის მამა-პაპის სისხლი და ოფლი დაღვრილა და მათი ძვლებიც საუკუნოდ აწყვია, მე როგორ უნდა დავჰგმო და მივანებო თავი?!. ნათქვამია: „ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბალდადიც იქ არისო“.

ამ გვარმა მისმა სიტყვა-პასუხმა ჩამაფიქრა!.. მას შემდეგ სულ იმას ვფიქრობდი, რომ მენახა როგორმე ის რაღაც დაწყევლილი შავი-ქვაა და მალეც ამისრულდა სურვილი. დაბრუნებულზე ჩემმა მხლებელმა საჩინომ, ასე ეძახდნენ იმ ახალგაზდას, მის სოფელზე გამამარონია და ღამის გასათევადაც თავის სახლში ჩამომახტუნა. საოცარი სანახავია ის გამოქვაბული კლდეები, სადაც ოდესმე კაცები მდგარან და დღეს-კი მოუვლია!.. მაგრამ მე უფრო შავი-ქვის სიმრავლემ გამაკვირვა. ნახვისათანავე ვიფიქრე, რომ ის შავი-ქვა უბრალო არ იყო და სწორედ მარგანეცი უნდა ყოფილიყო. გაგებული მქონდა ისიც, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ მარგანეცს და რა გამოსადეგია და როგორ ხმარობენ ფაბრიკებზე. მივიწვიე გეოლოგი სიმონოვიჩი, რომელმაც გამოიკვლია და ნახა რომ ის შავი-ქვა მართლა მდიდარი მარგანეცი იყო. უნდა გენახათ სოფლელების გაკვირვება, მაშინ-როდესაც ჩვენ ქვებს ვილებდით და ვსინჯავდით... ზოგი პირჯვარს იწერდა და აფურთხებდა. ზოგი დაგვცინოდა და ზოგი კიდევ რას ჩადიოდა. ჩვენ გადავეცით, რაც-კი ვიცოდით მარგანეცის შესახებ, მაგრამ იმათ გაგვიტრიზეს და შორს დაიჭირეს. მხოლოდ ერთი საჩინო ჩაფიქრდა. ეჭვში შევიდა (ისიც იმიტომ, რომ შეყვარებული იყო და სიყვარულმა გააბედვინა) და სთქვა: იქნება ღმერთმა ინებოს და გავკეთდე კაციო?.. თუ ეგ მართალი გამოდგა, შავი-ქვა ღმერთმა თქვენ მოგახმაროს და მე სიმდიდრედ ისიც მეყოფა, რომ ვეღარ დამიწუნებენ და ჩემ ლამაზ თინას გვერდში ამოვისვამო! საკვირველია, როდესაც შავი-ქვას ხმა გავარდა მაზრაში, მარტო ამაოდ-მორწმუნე სოფლელებმა-კი არ იუცხოვეს, ისინიც-კი აყაყანდნენ, ვინც გონებით მათზე მაღლა იდგა. არ დარჩენილა ჩვენში წოდება, რომ არ მწუთხებოდეს. თითქოს მათთვის შეურაცხყოფა მიეყენებინოს ვისმე და იმათი მყუდროება შეეშფოთებინოს!.. რიგი რას ანბობდა და რიგი რას!.. რომ სიტყვა არ გავაგრძელო, მოვიყვან ერთის წერილის პირს, რომელიც მამაჩემს მოსვლოდა იმის ახლო ნათესავისაგან:

„ძმაო... ამ ხუთის წლის წინად სიხარულით გილოცავდით შენიანები შენი შვილის უცხო ქვეყნიდგან დაბრუნებას!.. გვეგონა თუ ის მაშინ, ოჯახის სასიკეთოდ, ან ადვოკატობას დაიწყებდა და ან სამსახურში შევიდოდა. მაგრამ იმან-კი მიუხედავად ჩამომავლობისა მესტვირობა დაიწყო და! „პიიპუ-პიიპუს“ გაიძახდა. ეს რომ აღარ გვაკმარა, ახლა კიდევ აუჩემებია რაღაც შავი-ქვა და ჩხირ-კედელობს ქვეყანა საცინლად იგდებს. არა, შენ და შენი ღმერთი, ჩვენი ქვეყანა მარმალილოებით გამოტენილია, იქიდგან არა გამოდის-რა და მაგან გათითხნილ შავი-ქვიდგან რა უნდა გააკეთოს!.. მაგრამ პირველი ხომ არ არის მაგის ახირებულობა?! სირცხვილია, შენიანებს

ზეთი „Новое Время“ ჩამორჩა „Новости“-ს უკან. „Новое Время“ ურჩევდა ზანკოვეცკის ქალს დაანებეთ თავი მალოროსების დასს და ემსახურეთ რუსულ თეატრსაო, სადაც, „Новое Время“-ს სიტყვით, იმის საკვირველი ნიჭისათვის ფართო გზა იქნებოდა გადაშლილი, მაგრა იმან არ შეისმინა „Новое Времa“-ს რჩევა და არ იკისრა რუსულად თამაშობა. სწორედ ამ დროს მალოროსების დასი გაიყო ორად. ერთს ჰმოთავეობს ბ-ნი კრაპივნიცკი და მეორეს ბ-ნი სტარიცკი.

მოსვლისათანავე ტფილისში ბ-ნ სტარიცკის დასმა, როგორც მოვიხსენიეთ, დიდი ყურადღება დაიმსახურა საზოგადოებისა. საკვირველიც არ არის, მალოროსიულ პიესებს ერთი ისეთი განსაკუთრებული თვისება აქვს, რომ უნებლიედ იზიდავს ხალხის გულს. ეს თვისებაა სიმარტივე და სინამდვილე იმ ცხოვრებისა, რომელსაც ჰხატავს. თეატრს მიჩვეული საზოგადოება, დაღლილი, დაქანცული ოპერებით, ოპერეტებით, უცნაურის გმირებით და იმათის უცნაურის ტანთ-საცმელით, რომელთა პატრონებიც სულ მაღალ ფარდებში დაჰქრიან, სულითა და გულით ისვენებს ამ უბრალო, სიმპატიურ ხალხის ცხოვრების ცქერით. თუმცა მალოროსიულ პიესებს ერთ-ფეროვნება ეტყობა, მაგრამ ნიჭიერი არტისტები ისეთის ხელოვნებით თამაშობენ, რომ ეს ერთ-ფეროვნება აღარ ეჩოთირება კაცს.

საყურადღებოა კიდევ ერთი განსაკუთრებული თვისება მალოროსიულის პიესებისა. რა სახელიც უნდა ერქვას პიესას, დრამა იქნება, თუ ტრაგედია, კომედია, თუ ოპერეტი, მაინც სიმღერით იქნება შემკული და მერე რა სიმღერით! მალოროსიულ სიმღერებში ძვირად შეხვდება კაცი მხიარულ კილოს. ყოველ ხმაში გამოისმის ნაღველი, კვნესა და სევდა. ასეც უნდა ყოფილიყო. ისტორიული ცხოვრება მალოროსიისა მეტად მწარე, უგემური და არა-სვიანი იყო. ერთი წუთი არა ყოფილა იმის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებაში, რომ თავისუფლად ამოესუნთქა. მტრებთან ბრძოლას შეალია თავისი ძალ-ღონე. ჯერ იყო და თათრებმა გაუჭირეს საქმე, შემდეგ პოლშელებმა ჩაიგდეს ხელში მალოროსია და ისე იმათ არა, როგორც ებრაელებმა დაჩაგრეს. ბოლოს მთელს საუკუნეს ებრძოლა მოსკოვის სახელმწიფოს, რომელიც ნელ-ნელა იზრდებოდა და ითვისებდა გარშემო მყოფ ხალხებს. თვისი მწარე ბედი მალოროსმა თავის სევდიანს ლექსში გამოსთქვა. მალოროსების სიმღერას რომ ისმენ, გეგონება ამ ხალხს ერთი ტკბილი წუთი არა ჰქონია მთელს სიცოცხლეშიო. მალოროსები მთელს რუსეთში პირველ მომღერალ ხალხად ითვლება და იმათი ხმები, ნოტებად დაწყობილი ბ-ნ ლისენკოს მიერ, მოეფინა მთელს რუსეთს.

ეხლა, სხვა-და-სხვა დაბრკოლების აცილების შემდეგ, სტარიცკის და კრაპივნიცკის დასებს ფართო გზა გაეხსნათ და საფუძვლიანად მიდის იმათი საქმე.

დასასრულ, არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ, რომ მალოროსების რეპერტუარში არც ერთი ნათარგმნი პიესა არ მოიპოვება. ბევრჯელ ურჩიეს დასის მოკეთეებმა, იქონიეთ ევროპიული პიესებიცაო, მაგრამ დასის მოთავეებმა ეს ვერ იკისრეს.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** 30 ნოემბერს, წმინდა ანდრიას დღესასწაულს, ტფილისის სასულიერო სემინარიაში იყო წლიური აქტი და ანგარიში „წმ. ანდრიას ძმობისა“. პროგრამა აქტისა საკმაოდ საინტერესო გამოდგა. სემინარიის ხორომ ჩინებულადა სთქვა რამდენიმე სასულიერო საგალობელი რუსულად, აგრეთვე კარგად შეასრულა ზოგიერთი ქართული სიმღერა. მამა იერომონახმა ნიკანორმა, სემინარიის ინსპექტორმა, წაიკითხა მოკლე ანგარიში სემინარიის ყოფა-ცხოვრებისა შარშანდელ სამოსწავლო წლის განმავლობაში. მამა შოშიევმა წაიკითხა ანგარიში „წმ. ანდრიას ძმობის“ მოღვაწეობისა. რუსულ სიტყვიერების მასწავლებელმა ბ-ნმა ბელიაევმა წაიკითხა სიტყვა შესახებ ზნეობრივის განვითარებისა. აქტზე დაესწრო ტფილისის მართლმადიდებელი სასულიერო მთავრობა, აგრეთვე მასწავლებლები და საკმაოდ ბლომად გარეშენიც—ქალი და კაცი. უკეთესმა შეგირდებმა სემინარიისამ მიიღეს „ქების ფურცლები“ და წიგნები საჩუქრად. საყურადღებო ის იყო, რომ ჯილდოს მიმღებნი სულ ქართველი ყმაწვილები იყვნენ.

*** მეთულუხენი და ბოჩკით მზიდველნი წყლისა ძალიან დაალონა ტფილისის საბჭოს განკარგულებამ იმის შესახებ, რომ მერმისიდგან ამათაც უნდა აძლიონ ცხენის ხარჯიო, რისგანაც აქამომდე თავისუფალნი იყვნენ. «მებოჩკეს» გადაჰხდება ცხენზე რვა მანათი, ხოლო მეთულუხეს—ხუთი მანათი. წარსულს თთვეს მთელს ტფილისში ადგენდნენ ცხენების სიებს მოხელენი ქალაქის გამგეობისა და ამ სიებში მოაქციეს ერთობ ყველა პატრონი ცხენისა და ჯორ-ცხენისაც-კი, რომ თანხმად ამ სიებისა იანვრიდგან დაურიგონ ყველას ხარჯის ფურცლები.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნ რ. ჯაჯანაშვილის მიერ შედგენილი წიგნი პირველ დასაწყისს სკოლებში სახმარებლად, სახელად „მეგობარი“ (მეორე საკითხავი წიგნი ანბანს შემდეგ), მოუწონებია კავკასიაში სწავლა-განათლების მზრუნველს და მიუღია სადირექციო სკოლებში სახმარებლად.

*** დღეს, 2 დეკემბერს, ბანკის თეატრში დანიშნულია ოპერეტი «Птички пѣвчія» ტფილისის რეალურის სასწავლებლის ღარიბ შეგირდების სასარგებლოდ.

*** დღესვე დანიშნული საზაფხულო თეატრში ოპერა „Русалка“ «ტფილისის მასწავლებელ ქალთა ურთიერთის დამხმარებელ საზოგადოების» სასარგებლოდ.

*** ქარელი: ქარელელებიც ეღირსნენ სკოლას წელს. ამ ენკენისთვიდამ მთავრობამ გამართა ჩვენს სოფელში სკოლა. მასწავლებლად დანიშნულია გორის საოსტატო სემინარიაში კურს შესრულებული ბ-ნი გ. კვალიაშვილი. იმედი გვაქვს, რომ ციციშვილები თავისს დახმარებასა და რითაც იქმნება თვალ-ყურის ჭერას არ დაიშურებენ ამ სკოლისათვის.

*** გორი: 29 ნოემბერს, ღამით, დიდს ქუჩაზედ, გადაიწვა სამიკიტნო და სახლები გორში მცხოვრებლის ტატო მთვარელიძისა. ცეცხლი გაჩნდა გათენებისას. ზარალი დიდი მოსვლია ბ-ნს მთ—ძეს. ზარალი მოუვიდა მეორე დუქანსაც, რომელიც ზედ იყო მობმული. ეს დუქანი ეკუთვნის ბ-ნ თუმიშვილს. დამწვარი სახლი დაზღვეულია მოსკოვის საზოგადოებაში. როგორც დარწმუნებით ამბობენ, ცეცხლი გაუფთხილებლობისაგან მომხდარა და არა განზრახ.

*** გაზ. „Нов. Обоз.“-ში სწერია, რომ სწავლა-განათლების მზრუნველის საბჭოს მოუწონებია წიგნი ი. გოგებაშვილისა „Русское Слово“. მოუწონებია აგრეთვე ის წიგნიც, რომელიც „Русское Слово“-ს ავტორმა შეადგინა მასწავლებელთათვის სახელმძღვანელოდ „Русское Слово“-თი სწავლების დროს.

*** იგივე გაზეთი ამბობს, რომ სამი შეგირდი წინამძღვრიანთ-კარის სკოლისა, რომელნიც წავიდნენ იალტაში სამეურნეო სკოლაში შესასვლელად, უკვე მიუღიათ, რადგან ეგზამენები სამთავეს კარგად დაუჭერიათო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ქარელი, ნოემბერი 25. ამ თთვის ოც-და-ერთს ქარელი კარგს სანახაობას წარმოადგენდა. თითქმის მთელი გორის მაზრის თავად-აზნაურობა ერთად იყო თავ-მოყრილი და დღესასწაულობდნენ თ. გიორგი ივანეს ძის ციციშვილის ოც-და-ხუთის წლის სამსახურს „მომრიგებელ-შუაკაცის“ თანამდებობაში (Мировой посредникъ). თაოსნობა ამ საქმისა ეკუთვნით თვით ციციშვილებს. გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ბ-ნმა სულხანიშვილმა ნება გამოსთხოვა ბ-ნ გუბერნატორს დღესასწაულისა. გუბერნატორმაც ნება დართო და აი სოფელს ქარელში, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, შეიკრიბა თავად-აზნაურობა ციციშვილის პატივსაცემლად. ერთობ დიდი დარბაზი ავსებით აივსო. წინამძღოლმა გაგზავნა ორი საპატიო კაცი და ბ-ნი იუბილიარი მოიწვიეს დარბაზში. აქ წინამძღოლმა მოკლე, მაგრამ მგძნობიარე სიტყვა უთხრა იუბილიარს და თავად-აზნაურობის სახელით მიართვა საწერელი თავის მოწყობილობითა და აზარფეშა. ორივე ნივთზედ იყო შემდეგი წარწერა: „გორის მაზრის თავად-აზნაურთაგან გ. ი. ციციშვილს 1864—1889 წ.“ წინამძღოლის სიტყვის შემდეგ ბ-ნ ციციშვილს მიულოცეს დღესასწაული.

თითქმის მთელი თავად-აზნაურობა სადილად ერთს დარბაზში ისხდა ორპირად. სადილი იყო ნამდვილი ქართული; ტკბილად გაატარეს დრო; ცალ-კერძ ბრძანდებოდა გიორგი ციციშვილი, ჩიტოდ წოდებული, თავისის შვილებითა და ძმისწულებით და ყოველ სადღეგრძელოს შემდეგ სხვა-და-სხვა ნაირს „მრავალ-ჟამიერს“ მღეროდა. სადაც-კი რამ ძველი სიმღერა იყო, ამ დღეს ითქვა პატივცემულის მოხუცის ჩიტოს მიერ.

სადილზედ წაიკითხეს წერილები და დეპეშები მილოცვისა. შემდეგ გაჩნდა სიტყვების თქმა. ახალგაზრდა ორატორები შეეხნენ ბატონ-ყმობის დროს: როგორი იყო იგი წინად ძველს საქართველოში, როგორ იცვალა ფერი შემდეგ, ამ საუკუნის დასაწყისში, და რა დამოკიდებულება ჩამოვარდა გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის; როგორი კაცები იყვნენ საჭიროდ მომრიგებელ-შუაკაცებად ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ საზოგადოდ და

---

თავი ვეღარ გამოგვიყვია ქვეყანაში... ერთი უთხარი რამე, რომ თუ თავის თავს არა სცემს პატივს, ჩვენი ხათრი მაინც მოინდვას...

შენი კონსტანტინე“

მამამ გადმომცა ეს ბარათი. მე პასუხად, რასაკვირველია, ჩემი საფუძვლიანი ვუთხარი და იმანაც ასე მითხრა: „მე, შვილო, ახლანდელ დროსი აღარა გამეგება რა!.. რასაც ამბობ, ეგება ყველა ნამდვილიც იყოს, მაგრამ ნათქვამია: „ერთი ფარა ცხვარი რომ ხეს შეჰბღავლებს, ის ხე გახმებაო“. ნუ აალაპარაკებ ხალხს შენზე ურიგოდ, ნუ ჩაუვარდები ქვეყანას ყბაშიაო“. ამის მეტი აღარა უთქვამს რა და მომანება თავი... ხალხის უსამართლო და უსაფუძვლო განგაშმა მე უფროც წამაქეზა და მოვინდომე ამ საქმის თავის გამობმა, და ეს-კი მით უფრო ძნელი იყო, რომ დიდი და პატარა, რიგიანი და ურიგო ყველა წინ მელობებოდა და ხელს მიშლიდა. არც საქმით მზოგავდნენ და არც სიტყვით. ამ გვარ პირობებში ჩაყენებული მე ცხედავდი, რომ ჩემი საშუალება არ მეყოფოდა და მოვინდომე მიმეამხანაგებინა ვინმე ფულიან კომერსანტსავით, მაგრამ სად და როგორ? თვით ჩვენს ქვეყანაში ამისთანა არავინ მოიძებნებოდა... რადგანაც, კომერსანტების მაგიერად, მხოლოდ მეწვრილმანეები არიან და კომერციისა არ გაეგებათრა... ქართველებს მოცალეობა არასოდეს არა ჰქონიათ, რომ ხელიდამ გაეგდოთ ფარ-ხმალი და სასწორ-საზომი აეღოთ. ეს ხელობა მინდობილი ჰქონდათ იმათ, ვინც ომში არ გამოდგებოდნენ, სომხებსა და ურიებს. ამიტომ ფულიცა და ვაჭრობაც იმათ ხელშია. ისინი იმისთანა საქმეს თავის დღეში არ მოჰკიდებენ ხელს, რომლისათვისაც მათ მამა-პაპებს არ მოუკიდებიათ ხელი. დღემდისაც არა აქვთ წარმოდგენილი, თუ სხვის გაუგლეჯელ და მოუტყუებლად ვაჭრობა შესაძლებელია.

ამათთან საქმის დაჭერა შეუძლებელი იყო და რუსეთელ ვაჭრების იმედიც არა მქონდა, რადგანაც იმათ ჩვენი ქვეყანა დღესაც საშიშარ მხარედ მიაჩნიათ... და ასე ჰგონიათ, თუ ყოველ ნაბიჯზე ამალათ-ბეგები შეხვდებათ და შამილები. მეტი გზა აღარ იყო, უნდა მიმემართა საზღვარ-გარეთისაკენ. ყველაზე უმალ მოვიდნენ ინგლისელი ვაჭრები ადგილობრივად შავი-ქვის სანახავად, მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც ისინი მოვიდნენ, ავაზაკებმა უცნაურად მოჰკლეს ფოთში ინგლისელი სვინსონი და ამ გარემოებამ ისე შეაშინა ვაჭრები, რომ გაბრუნდნენ უკანვე და ხარჯმაც უბრალოდ ჩამიარა. უნდა გამოვტყდეთ, რომ იმ დროს საზღვარ-გარეთლებს ცუდი წარმოდგენა ჰქონდათ ჩვენს ქვეყანაზე. საშუალო აფრიკასა და ამერიკაზე მეტი იცოდნენ, ვიდრე ჩვენ საქართველოზე, და იქითკენ უფრო ადვილად გაჰბედავდნენ წასვლას, ვიდრე ჩვენსკენ. ერთხელ კიდევ ნემცებიც მოვიყვანე, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, ერთს მათგანს ფოთში გააცია და ამ უბრალო შემთხვევამ ისე დააფრთხო, რომ გადაცვივდნენ წყევლა-კრულვით.

ამასობაში ბევრმა წელმა გაიარა, საქმეს ხელი არ ეკიდებოდა და ასეც დავანებე თავი. უნდა გენახათ მაშინ ზოგიერთების თავის მოწონება და სიხარული: ჩვენ-კი არ ვიცოდით, რომ არა გამოვიდოდა-რაო? პოეტების ოცნებას რომ კაცი აჰყვეს, კლდეზე გადავარდებაო, და სხვანი!.. ერთხელ პეტერბურგში ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენის ქვეყნის შესახებ და სხვათა შორის მარგანეცზედაც. ვსთქვი რამდენიმე სიტყვა. მსმენელებთ რიცხვში გრაფინია გალვეიც იყო და ყურს უგდებდა. მეორე დღეს გამოეგზავნა კაცი, დავებარებინე და გამომკითხა ყველაფერი შავი-ქვის შესახებ.

— მე ვხედავ, რომ ეგ საქმე კარგი და სასარგებლო საქმე იქნება ქვეყნისათვის!.. დაიწყო გრაფინიამ: და მსურს, რომ ეგ საქმე ფეხზედ დადგეს. ნუ დაანებებთ თავს, დაუბრუნდით ხელ-მეორედ და მეც ყოველის მხრით შემწეობას ამოგიჩენთო! სთქვა და კიდევაც აასრულა. აღარც დაუზოგავს არც მატერიალური და არც ზნეობა-გონებითი ძალა. სანიმუშოდ გაგზავნილ მარგანეცით თითქმის აივსო სხვა-და-სხვა ბაზარი, გამოვიდა სხვა-და-სხვა ენაზე ბროშურები შავი-ქვის შესახებ. ბევრი რამ ითქვა საკომერციო ჟურნალებში. დატრიალდნენ აგენტები, კონკურენცია გაუწიეს ტერ-ნუარის საზოგადოებას და მოკლე ხანში კავკასიის მარგანეცმა სახელი გაითქვა. მოვიდნენ ევროპიელი ვაჭრები, მოჰკიდეს ხელი და დაიწყო მარგანეცის წარმოება. მაშინ-კი გამოაჭყიტა ყველამ ჩვენში თვალი. დღეს დიდი წარმოებაა და ისინიც-კი, ვინც ადრე კიჟინასა სცემდნენ, მარგანეცს ეჭიდებიან, აწარმოებენ, მსუქდებიან და თანაც თავი მოსწონთ!.. არ ჰფიქრობენ, რომ თუ გრაფინია გალვეი არა ყოფილიყო და იმის მეცადინეობას არ დაეყენებინა ფეხზე ეს საქმე... შავი-ქვა დღესაც კიდევ საწყევარი რამ იქნებოდა ჩვენს ქვეყანაში!.. მაგრამ ტყვილად-კი არ არის ნათქვამი: „ხილი სჭამე და მებაღეს ნუ კითხულობო!“ მარგანეცის პატრონები ყველანი სარგებლობენ დღეს შავი-ქვით და ეს-კი უკვირთ მხოლოდ ზოგიერთებს, რომ ის, ვინც პირველად დაიწყო საქმე, დღეს ყურადღებასაც აღარ აქცევს ამ საქმეს. გაუშვია ვერანად ის ადგილები, სადაც მარგანეცი აქვს, არც თითონ მუშაობს და არც სხვას აძლევს იჯარით. რასაკვირველია, სრული სიმართლე აქეთ ასე სთქვან, რადგანაც მიზეზი არ იციან, ის მიზეზი, რომელიც ხელის შემშლელია და რომელზედაც ეხლა ვიტყვი მე რამდენსამე სიტყვას.

აკაკი

როგორი იყო ბ-ნი ციციშვილი კერძოდ; ზოგი შეეხო იუბილიარს, როგორც კაცს, უჩვენეს მისნი ღირსებანი. ბ-ნს ციციშვილს თავის ოც-და-ხუთის წლის განმაელობაში სულ გაურჩევია ორმოც-და-ხუთი ათას ას ოც-და-ხუთი საქმე (45,125); ამათში მშვიდობით და ურთიერთ შორის მორიგებით გაუთავებია ორმოც-და-ერთი ათას ოც-და-ხუთი საქმე (41,025), გუბერნიის გამგეობას დაურღვევია მხოლოდ თერამეტი გარდაწყვეტილება მომრიგებელის შუაკაცისა, ბ-ნ გ. ციციშვილისავე შუაკაცობითა და შუამაელობით დახმარებია მთაერობა და გამოუსყიდნიათ საკომლო (სანადელო) მამულები ოც-და-ცხრამეტს გლეხთა საზოგადოებას, მთაერობის დაუხმარებლივ შეუ ყიდნიათ გლეხებს ათას სამას ორმოც-და-ხუთი (1345) ნაჭერი მინდვრის მამულისა, ვენახისა და ხეხილიან ვენახი და სახლ-კარ-ბინადრობისა, შეუდგენია რვაასამდე „უსტავნი გრამოტა“ ურთიერთ შორის ნება-ყოფლობით და უდავოდ მორიგებისა.

ამასთანა მოღვაწეობის დასაფასებლად იყო გამართული ზემოდ მოხსენებული დღესასწაული. დღესასწაულს ჰქონდა ხასიათი უფრო შინაურული, ტკბილი ქართული, ვიდრე ოფიციალური. სადილზე სულ ქართველობა იყო. ბევრი ტკბილი სიტყვა ითქვა, ბევრს გაუთბა გული ერთმანეთის შეხვედრით და აზრების თანაგაზიარებით.

სიმღერამ იმდენად დაატკბო საზოგადოება, რომ სთხოვეს მაზრის წინამძღოლს იკისროს, მოიწვიოს მცოდნე კაცი და ნოტებზედ გადაალებინოს ციციშვილებში დარჩენილი ძველი სიმღერები. მაზრის წინამძღოლმა ბ-ნმა ს—მა აღუთქვა შეასრულოს იმათი თხოვნა.

---

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

„Новое Время“-ში დაბეჭდილა ფრიად საინტერესო ფელეტონი ბულგაკოვისა, რომელიც გაზეთის მწერლობასა და მოღვაწეებს შეეხება საზოგადოდ. ბულგაკოვის ფელეტონი გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ საფრანგეთის გამოჩენილმა სათეატრო კრიტიკოსმა სარსემ ამას წინად უარი სთქვა და საფრანგეთის აკადემიის წევრობა არ ინდომა. აი დასასრულ რას ამბობს მეფელეტონე საზოგადოდ:

სამწუხაროდ, ბევრს არ ესმის საზოგადოებაში ჟურნალისტის შრომის მნიშვნელობა. უბრალო ჟურნალისტს საზოგადოდ არაფრად აგდებენ. ამასობაში დიდი გონებრივი შრომა სჭირდება გაზეთის მწერალს. თანამშრომელი ყოველ დღე ადგია თავისს მოვალეობას, ისეთს მძიმესა და ძნელს, რომელსაც ტოლი და სწორი ძნელად მოეძებნება. ისინი ყოველ დღე დიდის ყურადღებით უნდა ადევნებდნენ თვალსა და ყურს ყოველ გვარ შემთხვევას და მიმდინარეობას საზოგადოებრივისა, პოლიტიკურისა, სოციალურისა, მატერიალურისა და გონებრივის ცხოვრებისას. იმათ ყველაფერი უნდა აუწყონ მკითხველებს, ყველაფერი აუხსნან და განუმარტონ და ყველაფრის სჯა იქონიონ.ვალდებულნი არიან სხვისი შეცდომები გაასწორონ, საზოგადოებრივს აზრს ფასი და წონა დასდონ, ბრბოს ახალი მოღვაწენი დაუსახელონ, სხვათა ნაშრომი დავიწყებისა და არ-ცოდნის მწყვდიადიდგან გამოიტანონ და ქვეყანას დაანახვონ, მოღვაწეთა სახელი და დიდება დაუმკვიდრონ, ერთის სიტყვით, დიდი სიკეთე დასთესონ. ვინ იცის რამდენი ცოდნა, გამოცდილება და სიმტკიცე საჭირო, რომ სინიდისიერად და პატიოსნად შეასრულოს ადამიანმა ასეთი მოვალეობა. ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ მწერლობა ისეთ ხელობად გადაქცეულა, რომელსაც ყველა ვერ იტანს, და თუ იტანს ვინმე, ისიც საოცარის ბუნების კაცი.

ბულგაკოვი ამბობს, რომ მკითხველ საზოგადოების უმეტესობამ არ იცის, რა თავ-მდაბლობითა და თავ-განწირვით ემსახურებიან ჟურნალისტები უსახელოდ ქვეყნის საქმეს; საზოგადოებამ არ იცის სახელი იმ წერილების დამწერთა, რომელთაც ყოველ დღე კითხულობს და რომლის გამოც ხანდახან ბევრსაც ბაასობს. ეს წერილები, რომელნიც ხშირად მხოლოდ ერთს დღეს არსებობენ, ნაყოფია მძიმე გონებრივის მუშაობისა და ხანდახან უფრო მეტი სალიტერატურო მნიშვნელობა აქვთ და პრაქტიკულადაც უფრო დიდი სარგებლობა მოაქვთ, ვიდრე სამეცნიერო თხზულებათა თვით უუდიდესს წიგნებს. ზოგიერთი ვაჭბატონები დიდის სიამაყით ეპყრობიან ჟურნალისტიკას. ჟურნალისტებს ისინი იმდენად უყადრებენ თავს, რამდენადაც თავისთვის სასარგებლოდ მიაჩნიათ, რომ თავი მოიწონონ და სახელი გაითქვან. თუ არ ეს სარგებლობა, ზურგს აქცევენ და ზიზღითაც-კი ეკიდებიანო.

ამ ვაჟბატონებს არ უნდათ შეიგნონ და შეისმინონ, რომ უსახელო ჟურნალისტი, უბრალო თანამშრომელი რედაქციისა საზოგადოების უმრავლესობას კითხვისა და განათლების მოთხოვნილებასა და წყურვილს ულვიძებს, კულტურის აღორძინებასა და გაძლიერებას ხელს უწყობს, დაუღალავად ჰშრომობს და ყველგან ავრცელებს იმ ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტებს, რომელიც-კი ლიტერატურასა და მეცნიერე ბაში მოიპოვება. ეს ამოდენა შრომა-კი სულ არა ფასდება.

უბრალო წიგნაკი ლექსებისა, უარარაო კომედია, გულის გადამლევი და მომწყენი რომანი, რომელსაც სულ ასი კაცი არა კითხულობს, ლიტერატურად ითვლება და ყოველ დღიური შრომა ერისა და საზოგადოების მატერიალურ სარგებლობისა და გონებრივის პროგრესის ხელ-შესაწყობად-კი უაზრო და უმნიშვნელო მწერლობად არის მიჩნეული.

დასასრულ ბულგაკოვი დასძენს, რომ ჟურნალისტები ამ გარემოებისათვის არა სწუხან. კმაყოფილნი არიან იმითიც, რომ თავისის შრომით გაზეთის გავლენასა და მნიშვნელობას ძალასა და ღონეს აძლევენ; გულს იმითიც იჯერებენ, რომ ჩვენი მოვალეობა პირ-ნათლად შევასრულეთო, და ღრმად დარწმუნებულნი არიან, ეს შრომა უკვალოდ არ ჩაქრება და თავს იჩენს ჩვენის სამშობლოს კულტურულად განვითარებაშიო. მომავალი ისტორიკოსი, თუ მარტო მშრალ ამბების ჩამოთვლით არ დაკმაყოფილდება და მოიწადინებს ჩაუკვირდეს სულსა და გულს იმ დროებისას, რომლის ისტორიასაც სწერს, ხუცილებლად იძულებული იქნება ამ მშრომელთაკენაც მიიხედოს, ისინიც გაითვალისწინოს, რომელნიც ყოველ დღე თვალს ადევნებენ და ანგარიშსა სწერენ შინაგან და გარეგან პოლიტიკის მოვლენისას, და, რაღა თქმა უნდა, ცოტა მასალას არ მოსძებნის მათ შორის ჭკუის სასწავლებელსა და გონების დამათიქრებელსაო.

---

# უცხოეთი

ავსტრი ვენგრია. 20 ნოემბრის კრებაზე ვენგრიის პარლამენტში მოხდა დიდი სკანდალი, რომელიც იმაში გამოიხატა, რომ კერძოდ მთავარ-მინისტრს კოლომან ტისას დაუწყეს ლანძღვა და გინება მოწინაამდეგე დასის წარმომადგენლებმა. კრებაზე გასაშინჯი იყო და დასამტკიცებელი შემდეგის წლის ხარჯთ აღრიცხვა, ანუ ბიუჯეტი. ერთმა ახალგაზდა დეპუტატმა ვალიიმ სთქვა, რომ უნდა სენატსა ესთხოვეთ, შემოიღოს წესი დაფიცებისა მინისტრებისათვისაო. მერე წამოდგა უმწვერვალეს მემარცხენეთა მეთაური უგრონი და გამოაცხადა, რომ ტისა ხასიათის სისუსტით არ ვარგა ვენგრიის მთავარ-მინისტრადაო. „როგორი უნდა იყოს მთავარ-მინისტრიო? იკითხა უგრონმა და მერე თვითვე სთქვა პასუხად: ვენგრიას ისეთი მინისტრი უნდა ჰყავდეს და ამ მინისტრს ისეთი ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს, რომ საცა ფეხი დადგას, მიწამ ნგრევა დაიწყოს. ტისას-კი არავითარი ავტორიტეტი არა აქვს. 15 წელიწადია მთავარ-მინისტრია, განაგებს ვენგრიის საქმეებს და ამ ხანში სულ ერთიანად გააუბედურა ქვეყანა. ბოლოს ორატორმა ასე გათავა: ეგვიპტეში ჩვეულებად ჰქონდათ, როცა დიდი კაცი გარდიცვლებოდა, საერო სასამართლო განიხილავდა იმის საქმეს და თუ კარგი კაცი გამოდგებოდა, მიწას აბარებდნენ, თუ არა და, იმისი გვამი ეგდო მოედანზედ, რომ ყველას ენახა იმისი ხრწნა. ტისაც, როგორც მინისტრი, უკვე მკვდრად უნდა მივიჩნიოთ. პარლამენტის უმრავლესობას არ უნდა მიწას მიაბაროს იმისი გვამი, რომელიც იხრწნება და აფუჭებს ჰაერს ვენგრიის პოლიტიკურისა და საზოგადოებურ ცხოვრებისასაო. ამიტომ დროა მოვაგონოთ ამ უმრავლესობას, დაჰკრძალოს თავის ცხედარიო.

უმწვერვალესი მემარცხენენი დიდის აღტაცებით მიეგებნენ უგრონის ამ უმართებულო ლაპარაკს.

მემარჯვენეთა დასის მომხრემ დეპუტატმა იული ხორვატმა მისცა პასუხი უგრონს და ამბობდა, რომ უსამართლო ბრალსა სდებს მემარცხენეთა მეთაური მთავარ-მინისტრსაო. შემდეგ თვით ტისამ ილაპარაკა, რომ არ მეშინიან იმ სურათისა, რომელიც ისეთის დარდიმანდობით დაჰხატა უგრონმაო. მე ჯერ, ღვთის მადლით, არ გარდავცვლილვარ და ბევრად უკეთა ვგრძნობ თავს, ვიდრე უკვე მიცვლილი დიდი კაცები ეგვიპტისაო. ვისაც ვეჯავრები, იმათ-კი უნდათ მალე დამმარხონ, მაგრამ ისინი-კი, ვინც ჩემი მომხრეა, თანახმანი არ არიანო. როცა მართლა მოვკვდები როგორც მინისტრი, თუმცა, სამწუხაროდ, ჯერ არა მგონია, რომ მალე მოხდეს ეგ ამბავი (მემარჯვენენი იცინიან და უწონებენ ლაპარაკს ტისას), როცა მოვკვდები როგორც მინისტრი და ვიქნები მხოლოდ ერთი საწყალი დეპუტატი, მაშინ უფრო ადვილი იქნება ჩემთვის, ვიდრე ეხლა, დავანახვოთ, რაგვარად ჰლუპავს თქვენი ლაპარაკი საპარლამენტო წეს-წყობილებას ვენგრიაში (ისმის ხანგრძლივი ტაშის კვრა მემარჯვენეთა).

უეცრად წამოდგა მემარცხენეთა დეპუტატი გრაფი აპონიი და დაიწყო მეტად თავ-დაუჭერელი ლაპარაკი, რომლის თითოეული სიტყვა დიდს ტაშის კვრას იწვევდა მემარცხენეთა შორის. აპონიიმ სთქვა სხვათა შორის: „ვენის ჟურნალ-გაზეთობა, რომელიც ისე უცქერის ვენგრიის ავტონომიას, როგორც ბოროტებას, რომლის მოსპობა ვერ მოუხერხებია, ადმერთებს ტისას. მარტო ეს გარემოება საკმაოდ ამტკიცებს, რომ ტისა დიდი არაფერი ბრძანდება ვენგრიის თვით-მყოფელობის საქმეში. ტისას მდგომარეობა ჩვენს სეიმში ძალიან უხერხულია. ამ უხერხულობას მოსდევს სამწუხარო ინციდენტები, რომლის გამოც ბარემამ ვნაღლობთ, მაგრამ რომელსაც ვერ ავიცილებთ თავიდგან, ვიდრე თვით მიზეზს უბედურებისას არ მოვიშორებთ. უგუნურება იქნება, რომ მე ბრალი დამდოს ვინმემ, რად ამბობ იმას, რაც არსებობსო. განა მკურნალი, რომელიც ჰხედავს უნუგეშო სნეულსა და ამბობს, რომ ის სნეული მოკვდებაო, მკვლელია კაცისა? პასუხის-გება ყველა სამწუხარო ამბისა, რაც სეიმში ხდება, მთლად მისმა უმრავლესობამ უნდა იტვირთოსო“.

იტალია. იტალიაში იყო დანიშნული საქალაქო და საერო არჩევანები. აქამდე საერო და საქალაქო არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ ძალიან ცოტანი, თითო თემზე 20—80 კაცი მოდიოდა. ახლა-კი ახალი კანონი იქმნა შემოღებული ამ არჩევანების შესახებ და უფრო ბევრს მიეცა ნება არჩევანებისა. ძველის კანონის გამო საერო და საქალაქო თვით-მმართველობაში თითქმის სულ კონსერვატორები იყვნენ და კიდევ კლერიკალები, რომელნიც მტერნი არიან იტალიის გაერთიანებისა და უნდათ აღადგინონ ისევ საერო ხელმწიფება პაპისა. ახალ არჩევანებმა-კი მომეტებული ძალა მისცა დემოკრატებსა და ლიბერალებს. კონსერვატორებმა და კლერიკალებმა საერთო ღონით გაიმარჯვეს მხოლოდ 17 ქალაქში, ლიბერალებმა და საზოგადოდ ზომიერებმა—25 ქალაქში, ხოლო დემოკრატებმა და რადიკალებმა 63 ქალაქში. დემოკრატების გამარჯვებამ იმოქმედა მთაერობაზე და ამიტომ სეფე-სიტყვა სულ სხვა გვარად იყო წელს შედგენილი პარლამენტში წასაკითხავად: უნდა მუშა ხალხისთვის ვიზრუნოთო. დიდება ჩვენის მეფობისა ეგ იქნება, რომ ხალხის კეთილდღეობას შეემატოს რამეო. სკოლებისა და საერო განათლებისათვის უნდა ვინაღვლოთო და შევცვალოთ ის წესი, რომელიც მოქმედობს სამადლო საზოგადოებათა ქონების შესახებაო, და სხვანი.

---

# წვრილი ამბები

გერმანიაში, როგორც ჩვენს მკითხველებსაც მოეხსენებათ, გერმანულს ენაში უკვე მიღებულს ფრანგულს სიტყვებსა სდევნიან ეხლა. თვით იმპერატორი საჭმელების სიებში ფრანგულს სიტყვებსა ჰშლის. აი ამ მანიის შესახებ ვირხოვს ამას წინად ლექცია წაუკითხავს და სტუდენტები გაუფრთხილებია, რომ ამ მხრივ სხვას ნუ წაჰბაძავთ. „არც ერთი ენა არ არის ისეთი მდიდარი, უთქვამს ვირხოვს: რომ ყველა საგნისთვის კაი სახელ-წოდება მოეპოვებოდეს. ამის გამო იძულებულნი ვართ უცხო ენას მივმართოთ, როცა საკუთარი ენა ღარიბია“.

— ვენაში კვლავ უპოვნიათ „ნამდვილი“ რაფაელი, რომელიც კარგა ხანს მუზეის გასხლტომია ხელიდგან და სათამბაქოში უოფილა თავ-შეფარებული. რაფაელის ნახატი მადონა ქრისტეთურთ ათას წლობით თამბაქოს ბოლში უოფილა, რომ უცრივ ერთს მცოდნე მოხუცს უპოვნია და 100 გულდენი შეუძლევია მეთამბაქოსთვის. გაცოცხლებულს მეთამბაქოს უთქვამს, რომ პატარა მომითმინეთ, ვიფიქრებო და მიუწვევია მხატვრები და კრიტიკოსები სათათბიროდ. ეხლა ამ სურათში ერთი-ორად აძლევენ თურმე ფასს და კარგა მალი მყიდველებიც გამოსჩენია. ეს სურათი, როგორც ამბობენ, ვენგრიის შეძლებულის კაცისა, გვარად გეგეისა, უოფილა. მეთამბაქოე ნათესავად მოჰხვდებოდა თურმე იმას და სურათი იმისაგან მიუღია საჩუქრად. ზოგიერთნი ამბობენ, რომ სურათი რაფაელის კალამს ეკუთვნისო, მეორენი—ტიციანისასაო, და მესამენი კიდევ კორეჯიოსსა სთვლიან იმის დამხატველად.

— პარიჟში ამას წინად კრება უოფილა ერუ-მუნჯებისა. ამ ერუ-მუნჯთ განუზრახავთ, რომ 23 დეკემბერს ახალის სტილისას დიდის ამბით ვიდღესასწაულოთ აბატ დ'ეპეს გარდაცვალებიდგან ერთის წლის შესრულების დღეო. ამ აბატ დ'ეპეს დიდი სამსახური და სიკეთე მიუძღვის ერუ-მუნჯთა წინაშე და სწორედ ეს არის ამათი კეთილის-მყოფელი. კრებაზედ თავი მოუყრია 200-მდე ერუ-მუნჯს და თავმჯდომარედაც ერთი ერუ-მუნჯივე ჰყოლიათ, რომელიც დიდის ოსტატობითა და უნარით ჰმეთაურობდა თურმე კრებას. ერთს წევრს წინადადება შეუტანია, რომ ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე და აბატ დ'ეპეს ძვლები პანტეონში გადავატანინოთო. ეს წინადადება მთელს კრებას დიდის სიამოვნებით მიუღია და ყველას ხელები აუშვერია ნიშნად თანხმობისა.

— ამერიკელებს სასადილო და სავახშმოები გაუმართავთ, სადაც ყველაფერი წონით იყიდება თურმე. მშიერს კაცსა სწონავენ ჯერ ვახშმამდე, ან სადილამდე, მერე ვახშმისა და სადილის შემდეგაც და რამდენიც მეტი მოვა, იმისდა გვარადართმევენ ფულს.

---

# დეპეშა

30 ნოემბერი

პეტერბურგი. დღეს აქაურს საბჭოს კრებაზედ ქალაქის თავმა სთქვა, რომ ამ დღეებში საგანგებო კრება იყო სამკურნალოების ყველა მთავარ მკურნალთა ქალაქის უფროსის თავმჯდომარეობით ინფლუენციის გამოდ და კრებამ გადასწყვიტა, რომ ინფლუენციასა და ხოლერას შორის საერთო სრულიად არა არის-რა და ინფლუენციას ხოლერის წინამორბედადაც ვერ დავესახავთო.

გაზ. «День»-ს გაუგონია, რომ ფინანსთა მინისტრს სამის საბანკირო კანტორისთვის კიდევ აუკრძალავს, ახალ-წლიდამ აღარ გაჰყიდოთ მომგები ბილეთები წვრილ-წვრილად ფასის გადახდევინებითაო.

გუშინ იუსტიციის მინისტრის თანადასწრებით დაიწყეს მოქმედება ახალმა სასამართლოებმა.

ზანზიბარი. ამ სამის დღის წინად, გერმანიის ჯარი, პარეჰკის შმიდტის უფროსობით, თავს დაესხა ბუშირს, რომელსაც მოუკლეს 28 კაცი. თვითონ ბუშირი მიიმალა.

ვენა. პროფესორმა ნატონაგელმა წაიკითხა საჯარო ლექცია ინფლუენციის შესახებ და ის აზრი გამოსთქვა, რომ არას გზით არ შეიძლება ეს ავადმყოფობა სხვა უფრო საშიშის მოარულის წინამორბედად დავსახოთ.

პოლიციამ აუკრძალა ჩეხიის სტუდენტებს და სტუდენტების საზოგადოებათ შეკრება შემოწირულებათა გუსის ძეგლისათვის.

სოფია. 30 მილიონის სესხის გირაოდ არის რკინის გზები: ცარებროდ-სოფია-ვაკარელ და იამბოლი-ბურგასი. თუ ნახევარ წლის განმავლობაში, კუპონები ანუ ობლიგაციები არ იქმნა განაღდებული, ზემოხსენებულის გზების გამგეობა ლანდერ ბანკისა და შეერთებულ ბანკების ხელში გადავა. თუ ვინიცობაა ის ნაწილი ვალისა, რაც პირობაშია მოხსენებული, არ იქმნა გარდახდილი ორის წლის განმავლობაში, ბანკებს ნება ეძლევათ გაჰყიდონ დაგირავებული რკინის გზები და გაისტუმრონ მოვალენი.

30 ნოემბერი

მიტავა. დღეს იუსტიციის მინისტრის აქ თანადასწრებით დაიწყო მოქმედება ახალმა სასამართლოებმა.

ლონდონი მენახშირეებმა და გაზით-გამანათებელ საზოგადოების მუშებმა სამხრეთ ქალაქის ნაწილისამ პირობა შეჰკრეს და აღარა მუშაობენ, მაგრამ „გაზის საზოგადოებამ“ იშოვნა სხვა მუშები და ამიტომ მისი მოქმედება არ შეყენებულა.

პეტერბურგის ბირჟა, 28 ნოემბ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 48 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 149¾ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 11 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 255 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 226 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. $3\frac{1}{2}$
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარ. 5 „
„ „ 2 „ 4 „
„ „ 3 „ $3\frac{1}{2}$
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა. . . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . . . 4 „
მე-3 — . . . . . . „ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 „
ღორის ხორცი . . . . . „ „
„ 2 „ „ „ „

---

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავ ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

---

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

ვალ. გუნიას მიერ შედგენილი

## სახალხო კალენდარი

1890 წ.

ფასი ორი შაური

---

ვინც ერთბაშად იყიდის ას წიგნს, იმას მანეთზე ხუთი შაური დაეთმობა, ანუ ერთ თუმნად შეუძლიან მიიღოს 13 მ. წიგნი. ვინც იყიდის 300 ცალს, იმას მანეთზე ექვსი შაური დაეთმობა, ანუ სამ თუმნად შეუძლიან მიიღოს ოთხის თუმნის წიგნი.

წიგნის მაღაზიებს დაეთმობა ჩვეულებრივი პროცენტი. ვისაც სურს კალენდრის გამოწერა, შეუძლიან ნახევარი ფასი ამ თავითვე გამოგზავნოს და ნახევარი მიღებისათანავე გადაიხადოს (съ наложеннымъ платежомъ).

მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას და ტერ-სარქისოვის საკანცელარიო მაღაზიას, სასახლის ქუჩაზე, ლალაევის სახლში.

ამ დღეებშივე გამოვა „საქართველოს კალენდარი“ 1890 წ. და უბის წიგნი 1890 წლისათვის.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა . . . . . . | „ | 25 |
| მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. . . . | „ | 60 |
| თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: . . . . . | 1 | „ |
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |
| ბამბა და მისი შემუშავება მ. ჯ—ლი. . . . | „ | 15 |
| დახასიათებანი თქმულნი თეოფრასტეს მიერ გადმოღებული ინ—კანისაგან . . . . . | „ | 20 |
| ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა გ. იოსელიანისა . . . . . | „ | 20 |
| პირუტყვების ამბები, საყმაწვილო წიგნი სურათებით . . . . | „ | 25 |
| დემეტრეს სახლობა, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . | „ | 15 |
| ვოლტერი ზ. ჭიჭინაძისა | „ | 15 |

---

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ცდა, კრებული გამოცემული ალ. გარსევანიშვილისა . . . . . | „ | 50 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა. . . . | „ | 40 |
| ქართული თეატრი ვ. გუნიასი . . . . . . | „ | 40 |
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომოურისა. . . | „ | 15 |
| Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово“. . | „ | 50 |
| კაყა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა . . | „ | 30 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავე საზოგადოების გამოცემა . . | „ | 20 |
| ჩანგი, კრებული ლექსთა და სხვა . . . . . . | „ | 0 |
| ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა. . . . | „ | 0 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . | „ | 45 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე, . . . . | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . | „ | 50 |
| ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «სალმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი აკაკისა | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| გენათის მონასტერი, გამოც. დამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ლოცვანი, დამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 | 50 |

---

# ჯოჯორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვეით . . . | 10 მ.—კ. | | 6 თვეით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით იმას მხოლოდ შემდეგი თვეის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამ საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში.

---

# დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას: Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

Доз. ценз. Тифлисъ 1-го Декабря, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи. пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.